კონკურსის „სასკოლო კლუბების ინიციატივების მხარდაჭერა“ ჩატარებისა და დროებითი კომისიის მუშაობის წესის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს და არეგულირებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების განყოფილების ქვეპროგრამით „სასკოლო კლუბების ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში კონკურსის ჩატარებისა და დროებითი კომისიის მუშაობის წესს, შეფასების კრიტერიუმებსა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.
2. ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო აქტივობებში, მათ აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას, ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას, გუნდურ მუშაობას, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი ორგანო

1. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია შეიმუშავებს და ქალაქის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს:
ა) საკონკურსო განაცხადის წარდგენის ვადებს;
ბ)საკონკურსო განაცხადის ფორმას;
გ)საკონკურსო კომისიის შემადგენლობას
დ)შეფასების კრიტერიუმებს
ე)დაფინანსების (ერთჯერადი ფინანსური გასაცემელი) მიმღებთა სიას.

მუხლი 3. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო და კერძო სკოლებს.
2. წარმოდგენილი სასკოლო პროექტების ზოგადი მიმართულებები უნდა იყოს: საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი, სპორტული ან/და შემოქმედებითი.
3. კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
ა) პირველი ეტაპი-წარმოდგენილი სააპლიკაციო განაცხადის შეფასება;
ბ)მეორე ეტაპი-პირველ ტურში საუკეთესო შეფასების მქონე კლუბების მიერ პროექტის პრეზენტაცია და გასაუბრება.
4. სასკოლო კლუბების ინიციატივებს შეაფასებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კომისია წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით.
5. კომისია დასაფინანსებლად განიხილავს სარეიტინგო სიის იმ პროექტებს, რომლებიც კომისიის შეფასებით დააგროვებენ შეფასების კრიტერიუმებით განსაზღვრული მინიმალური ქულის ნახევარზე მეტს.

6. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ კონკურსანტებს, რომლებიც:
ა) წარმოადგენენ პროექტის განაცხადს სრული, ორგანიზებული და თანმიმდევრული ფორმით;
ბ)დამაჯერებლად დაადასტურებენ პროექტის ეფექტიანობას;
გ) თავიანთ აქტივობებში ჩართავენ საზოგადოების სხვადასხვა ფენებს.

მუხლი 4. დაფინანსების ოდენობა და მიზნები

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2000 / ორი ათასი/ ლარს (საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).
2. კომისიის გადაწყვეტილებით კომპონენტის ფარგლებში გაიცემა დაფინანსება ერთჯერადი ფინანსური გასაცემლის სახით.
3. კონკურსის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს:
ა) სასკოლო კლუბის მონაწილეთა (მოწვეული პირები) ჰონორარი, რაც შეიძლება შეადგენდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანხის არაუმეტეს 20%-ს;
ბ) სხვა საქონელი და მომსახურება
გ) უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომელსაც ახლავს მინი კვლევა, რომელიც ასახავს საკონკურსო ინიციატივების საჭიროებას და რომელშიც სკოლის მატერიალური თუ არამატერიალური (დარბაზის იჯარა, ბანერის ბეჭდვა) თანამონაწილეობა შეადგენს მოთხოვნილი თანხის 20%-ს.

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიის (შემდგომში-კომისია) შემადგენლობას.
2. კომისიის სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე.
3. საკონკურსო კომისია:
ა) განიხილავს და აფასებს საკონკურსო განაცხადებს;
ბ) განსაზღვრავს გასაცემი თანხის ოდენობას;
გ)დასამტკიცებლად წარუდგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს ინფორმაციას კონკურსის შესახებ.
4. საკონკურსო განხილვაში, შეფასებასა ან/და შერჩევაში დაუშვებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა მონაწილეობა.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული პირი შესაბამისი გარემოების არსებობის შემთხვევაში ვალდებულია, საკონკურსო კომისიასა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს აცნობოს თვითაცილების შესახებ.
6. იმ შემთხვევაში თუ ინფორმაცია საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული კონკურსანტის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებამდე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია იმსჯელოს კომისიის წევრების შეფასების გაბათილებასთან დაკავშირებით.
7. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს შესაბამისი სფეროს სპეციალისტები სათათბირო ხმის უფლებით.

9. კომისიის წევრი ვალდებულია შეაფასოს თითოეული განაცხადი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების ფორმის საფუძველზე.
10. იმ შემთხვევაში თუ კომისიის რომელიმე წევრი შეაფასებს განაცხადს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების ფორმის დარღვევით, მისი ხმა არ იქნება გათვალისწინებული ქულათა საერთო ჯამის გამოთვლის დროს.

მუხლი 6. კონკურსის ჩატარების ვადები

1. საპროექტო განაცხადების მიღება დაიწყება 2023 წლის 6 ნოემბრიდან 2023 წლის 6 დეკემბრამდე ელექტრონულ მისამართზე contact@kutaisi.gov.ge
2. გამარჯვებული პროექტების განხორციელება დაიწყება 2024 წლის დეკემბრამდე.

Ioseb Khakhaleishvili

Digitally signed by Ioseb Khakhaleishvili
DN: cn=Ioseb Khakhaleishvili, serialNumber=PNOGE-60001030418, givenName=Ioseb, sn=Khakhaleishvili, o=Citizen, c=GE
Date: 2023.11.06 18:01:52 +04'00'